სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/09

ქ. თბილისი

22 იანვარი 2019 წ.

სტუ-ის სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, სტუდენტთა განცხადებების, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სწავლების, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის და სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტების წარდგინებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-02/3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრიდან დანართში მითითებული სტუდენტები გადაყვანილ იქნენ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე (იხ. დანართი 1).
2. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანილი სტუდენტის მიერ სასწავლო კომპონენტის გავლის ვადები განისაზღვროს მე-2 დანართის თანახმად (იხ. დანართი 2).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი 2

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილი სტუდენტის მიერ სასწავლო კომპონენტის გავლის ვადები

1. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილ სტუდენტს სასწავლო კომპონენტის გავლისას უფლება აქვს:

   - შუასემესტრული გამოცდა ჩააბაროს მისთვის ხელსაყრელ დროს, შესაბამის სასწავლო კურსში დასკვნით გამოცდამდე, დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.
   - მიმდინარე აქტივობები, რაც დაკავშირებულია დამოუკიდებლად შესრულებული ინდივიდუალური ნაშრომის (პრაქტიკული/თეორიული დავალება, საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი, კლაუზურა და სხვა) წარდგენასა და პრეზენტაციასთან, ჩააბაროს მისთვის ხელსაყრელ დროს, შესაბამის სასწავლო კურსში დასკვნით გამოცდამდე, დეკანატთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.
   - მიმდინარე აქტივობები, რაც დაკავშირებულია გუნდურ მუშაობასთან, როგორც წესი, ჩააბაროს სილაბუსით განსაზღვრულ ვადებში, შესაბამის აკადემიურ ჯგუფთან ერთად.
   - დანარჩენი მიმდინარე აქტივობები ჩააბაროს ინდივიდუალური ტესტირების სახით, შესაბამის სასწავლო კურსში დასკვნით გამოცდამდე, დეკანატთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.
2. ინდივიდუალური ტესტირების მოცულობას, შეფასების მაქსიმალურ ქულას და შინაარსს განსაზღვრავს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი.